KA020182639872317

№3818
14 / დეკემბერი / 2017 წ.

ფრიად სასწრაფო

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტს

ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტს

კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტს

მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის
ნანა შავიძის

სამსახურებრივი ბარათი

გაცნობებთ, რომ 2018 წლის იანვრის ბოლოს ქ. მინსკში (ბელარუსის რესპუბლიკა) დაგეგმილია საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-4 სხდომის გამართვა, რომელსაც საქართველოს მხრიდან უხელმძღვანელებს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ბატონი დიმიტრი ქუმსიშვილი, ხოლო ბელარუსის მხრიდან პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბატონი მიხაილ რუსი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დანართის სახით, გიგზავნით ბელარუსის მხარის მიერ შემუშავებულ კომისიის მე-4 სხდომის ოქმის პროექტს და გთხოვთ, 2017 წლის 26 დეკემბრამდე, მოგვაწოდოთ თქვენი უწყების შენიშვნები და წინადადებები პროექტთან მიმართებაში (რუსულ ენაზე) და საქართველოს მხარის შემადგენლობაში შეყვანის მიზნით, წარმოადგინოთ კომისიის წევრისა და ექსპერტის კანდიდატურები, მათი საკონტაქტო მონაცემებით (ტელეფონი, ელ. ფოსტა).

ამასთანავე, წერილზე თანდართული ცხრილის შესაბამისად გთხოვთ, მოგვაწოდოთ განახლებული ინფორმაცია ამავე კომისიის მე-3 სხდომის ოქმით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

დანართი: მეოთხე სხდომის ოქმის პროექტი - 7 ფურცელი;
მესამე სხდომის ოქმის შესრულება - 8 ფურცელი.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ნანა შავიძე